კვირა, 6 იანვარი 1908 წ.

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—90 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ისარი

წელიწადი მეორე—№ 5

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და ფელეტონები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ღირს 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

7 იანვარს 1908 წლის, ნაშუადღევს 1 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გ დ. ხდილი იქნება პანაშვიდი გარდაცვალებულ

თავ. ნიკოლოზ დავითის ძის ერისთავის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **თავადნი აფხაზნი**. (1—555—1)

ნინა ქრისტოფორეს ასული აბულაძისა, გიორგი სოლომონის ძე აბულაძე, **მართა ქრისტეფორეს ასული ბადრიძე** და **ეკატერინე ქრისტეფორეს ასული გილანოვისა**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას საყვარელ დისწულის პროპორშჩიკის

ალექსანდრე გიორგის ძის ივანოვისას,

პანაშვიდები: კვირას, 6 იანვარს, საღამოს ექვს საათზე; ორშაბათს, 7 იანვარს, ნაშუადღევის პირველ საათზე და საღამოთი 6 საათზე. გამოსვენება 8 იანვარს დილის ათ საათზე საკუთარ სახლიდან (მიხაილოვის ქუჩა № 69) ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და დაკრძალვა წმ. ნინოს სას ფლაოზედ. (1—656—1)

3 იანვარს ღამე, სოფელ საცხლოში, ტოჩბ ლის მაზრაში, გარდაიცვალა

კნეინა მართა ათანასეს ასული მელიქიშვილისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილნი მისნი: **მარიამ მიხეილის ასული ლოლობერიძისა თავადნი ბარბარე გიორგი და ნიკოლოზ მიხეილის ასული და ძენი მელიქიშვილნი, რძალი ეკატერინე სიმონის ასული მელიქიშვილისა და სიძე დავით ბესარიონის ძე ლოლობერიძე**. პანაშვიდები სოფ. საცხლოში, ყოველ დღე, ნაშუადღევის 1 საათზე და საღამოს 7 საათზე.

დაკრძალვა ახტალის მონასტერში 8 იანვარს. (2—550—2)

„ტფილისის კრუჟოკის“ დარბაზში

6 იანვარს 1908 წ. გაიმართება

ბ ა ლ ი

ტფ. ქართულ კერძო გიმნაზიის სასარგებლოდ.

შესასვლელ ბარათის ფასი 2 მან. 10 კაპ.

პასუხის მგებელი გამგე **კნ. ი. კ. თუმანიშვილისა**. (6—5.—6)

ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა.

კვირას, 6 იანვარს, **ორი წარმოდგენა**: დილით—დაკლებულის ფასებით და საღამოთი ჩვეულებრივის ფასებით. წარმოდგენილი იქნება **დილით**: „ივანე მეფის ძე“ ფანტას. ზღაპარი 7 სურ. ✦ **საღამოთი**: „ასი სთქვა მეფემ“. კომ. ოპერა 3 მოქ., მუ. დელიბასი.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი ვოდობიანოვა, გორინა, პახომოვა, პოზოჟიევა და სხვანი. ბ-ნნი აკიმოვი, გავრილოვი, გრინევი, კარლაშევი, პლატონოვი; სააინოვი.

კაპელმეისტერი: **ფალიაშვილი**. დასაწყისი 8 საათზე.

7 იანვარს—„აფრიკელი ქალი“. (0—30)

თამბაქოს ქარხანა

საქ. საზ. **„მირისა“** ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

არომატ

საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ. ✦:✦:✦:✦:✦ 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—34)

გ ა ი ხ ს ნ ა

დურგალთა პროფესიონალური ბიურო

გუბერნატორის მიერ ნება-დართული, ბიურო იღებს სადურგლო საქმეებს ხელმისაწვდომ ფასებში ნარდად, ნაჭრობით, და დღიურად. დღიურ მუშის ფასი გაყოფილია ოთხ კატეგორიად. ბიურო უდებს ფიდებად ყველა თავის წევრს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო მიღებულია ბიუროს შუამდგომლობით.

ბიუროს ადრესი: მესამე საპოლიციო ნაწილი, რუსისა და ვანქის ქუჩების კუთხე, სახლი სომხურ სემინარიისა ზემო სართული. ბიურო ღიაა მუდამ დღე დილის 7 საათიდან შუადღის 3 საათამდე. (0—382—21)

ძმ. ნიკიტინებ..ს ცირკი.



კვირას, 6 იანვარს, 1908 წელს, **ორი დიდი წარმოდგენა** დღისით ბავშვების დღესასწაული დაკლებულის ფასებით (20 კაპ. 1—25 კაპ.) დასაწყისი 2 საათ. მონაწილეობას იღებენ ახალი არტისტები, გაწვრთნილი ცხენები. გამოსვლა კლოუნებისა. გაწვრთნილი ცხენი ბონოსი. დასასრულ პანტომიმა. საღამოთი საოცნებო წარმოდგენა ყველას მონაწილეობით. დღეს **ფრანგული ჭიდაობა** ბონოსი ცოცხალ ლომთან. მშვენიერი ხალხი ტრიო დებერტს დასასრულ ფანტასტიური ფეერია „1001 ღამე“. დასაწყისი 8½ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 5 დან წარმოდგენის გათავებამდე. დაწვრილებით პროგრამებში. (1—553—1)

დირექტორი **აკიმ ნიკიტინი**.

ე ქ ი მ ი

ი. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ზარამოვის სახლი, № 92. (წ.ჲ—00)

ქ. ქუთაისში

ექიმი ჯაფარიძე

იღებს ყურით, ყელ ით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (50—6.—49)

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3, ალექსანდროვს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

რუდნევი—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

რიდელი—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^{1}/_{2}$—3 საათ.

ანანოვი—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.

ერმოლაევი—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

პავლოვი—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

ასპიზოვი—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა,

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.

ზოლოტოვი—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.

გორადოვიჩი—შინაგ. ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ.

ინაური—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.

ჩუდნოვსკი—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

ვინოკური—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

ნევზოროვი—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

გორონოვიჩი—მასსაჟი. ყოველ დ. 12—4 ს.

პოპოვი — | **ჩუდნოვსკი** — | კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—82)

ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ქ ა ლ ი

ი. დ. ნ ა ს ა რ ი ძ ე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^{1}/_{2}$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

თვალის ექიმი

ზ. მ. ც ხ ვ ე დ ა ძ ე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—554—1)

ქ. ქუთაისში

ე ქ ი მ ი ბ ა დ რ ი ძ ე

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; **ფილტვების, ხუნაგის და ყვავილის აცრა**. დილის 8—12 საათ., საღამოს 4—5 საათზე. პოლიციის ქ. ციციშვილის სახლი (15—კვ.—11)

კბილის ექიმი

ნ ი ნ ო რ ც ხ ი ლ ა ძ ე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7 საათზე. ვერა ოლღას ქუჩა, № 25. (0—266)

ყბაყურისა და რეზინების სამკურნალო კაბინეთი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—21)

კბილის ექიმი

ალ. ხოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12 სახლი მდივნისა. (64)

კბილის ექიმი

ბალარჯაშვილი მათიაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საღ. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—518—13)

ქ ო ბ უ ლ ე თ შ ი

ექიმი

ნ. გ. მრევლიშვილი,

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად ბმშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის, ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—42)

დაიბეჭდა და იყიდება

ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში—„იმერეთ ს“ მაღაზიაში

საქართველოს მოკლე ისტორია

დ. კარიჭაშვილის მიერ.

ფასი 40 კაპეიკი. (7—4)

„ტფილისის სოზრანიე“

მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრებს, კანდიდატებს, მათ ოჯახებს და სტუმრებს, რომ **ხუთშაბათ საღამო** 5 იანვრის ნაცვლად გაიმართება 6 იანვარს, რომელზედაც ქართველ დრამატიულ დასის არტისტები წარმოადგენენ

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!

კომ. 3 მოქ. ავქ. ცაგარლისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (552—1)

ორშაბათს, 7 იანვარს, საღამოს 6 საათზე ქალაქის პუშკინის სამკითხველოს შენობაში (ალექსანდროვის ბაღი)

ა. ს. ხახანაშვილი

წაიკითხავს ქართულად ლექციას

შოთა რუსთაველზე

შემოსავალი „უაზიბეკის“ ქალთა სკოლის სასარგებლოდ არის. ფასი: 1 მ., 50 კ. და 25 კ.

კვირას, 6 იანვარს

ქუთაისში გამოვა გაზეთი

„ფ ა რ ი“

კვირეული პოლიტიკური და სალიტერატურო ორგანო.

ფასი: წლიურად ქუთაისში 2 მ. 50 კ.

„ სხვაგან 3 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ადრესი: ქუთაისი. „ფარის“ რედაქცია. (4—4)

ტფილისი, 6 იანვარი.

ბ. ზუბალაშვილის შეწირულების გარშემო ბევრი აირივნენ სტიპენდიის მაძიებელნი. გასანაწილებელი სულ ოცი სტიპენდიაა, მთხოვნელი კი ხუთასზე მეტი. უეჭველია, ამ აუარებელ მთხოვნელთა შორის ყველა ისეთ გაჭირებაში არ იქნება, რომ უსტიპენდიოდ იძულებული შეიქნეს სრულიად ხელი აიღოს უმაღლეს სწავლაზე, მაგრამ მთხოვნელთა დიდი უმრავლესობა რომ მართლა საჭიროებს დახმარებას—ეს ყველასათვის ცხადია ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ გადამეტებულ ხელ-მოკლეობისა გამო ზოგიერთი პეტერბურგელი სტუდენტი დეკემბრის სუსხიან ყინვების დროსაც-კი უპალტოოდ დაიარებოდა. ვიცით, რომ მრავალ ქართველ სტუდენტს მთელი კვირაობით უხდება უსადილოდ ყოფნა, ვიცით, რომ უზომო გაჭირებამ ერთს კურსისტკას თავიც კი მოაკვლევინა თქმა არ უნდა, უმაღლეს სწავლის მისაღებად რუსეთში და უცხოეთში გაფანტულ ქართველ ახალგაზრდობის მდგომარეობა სიღარიბის ზღვას წარმოადგენს, ხოლო ქველ-მოქმედ პირებისა და დაწესებულებათაგან დანიშნული სტიპენდიები კი უმნიშვნელო წვეთს ამ სიღარიბის ზღვაში. ამიტომ არავის არ უნდა გვიკვირდეს, რომ ამოდენა მთხოვნელი მიაწყდა ბ. ზუბალაშვილის სტიპენდიებს. პირიქით ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ ბუნებრივია ისიც, რომ ეს სტიპენდიები კი არა, შიმშილი, სიცივე, ავადმყოფობა და ათასი სხვა უბედურება დაჰფარავს საბოლოოდ ქართველ ახალგაზრდობის სასტუდენტო ბიუჯეტს.

სამწუხარო მოვლენაა, მეტად სამწუხარო! იგი ჩვენი ცხოვრების მრავალკეც უკულმართობათა ერთ-ერთი კათის გამომხატველია. სწორედ ამაზე გვინდა მივაქციოთ დღეს მკითხველის გულის-ყური. უმაღლეს სასწავლებლებში ქართველ ახალგაზრდობის შენახვა ჩვენთვის თავის საზოგადოებრივის მნიშვნელობის მხრივ არის საგულისხმო. რა ღირებულება აქვს ჩვენი ქვეყნისათვის იმ უმაღლეს განათლებას, რომელსაც იძენს ჩვენი მოზარდი თაობა რუსეთში და უცხოეთში? საიდან გაჩნდა ამოდენა მოტრფიალე უმაღლესის სწავლისა ჩვენს ყველაფრით ჩამორჩენილს ქვეყანაში?

ამ საკითხებზე ჩვენ წინადაც გვქონდა საუბარი მკითხველთან. ჩვენის ღრმა რწმენით, საზოგადოებრივი ღირებულობა იმ უმაღლეს განათლებისა, რომელსაცასე ხარბად აწყდება დღეს ჩვენი მოზარდი თაობა, თითქმის ნოლს უდრის. უმაღლესი განათლება ეს ის მზე არ არის, რომელიც მთელ ქვეყანას ერთნაირად დასტრიალებს ზემოდან და ერთნაირად ანათებს მთასა და ბარს. პირიქით, თითოეული ქვეყნის უმაღლესი განათლება ამ ქვეყნის საკუთარ საჭიროებათა ნიადაგზეა აღმოცენებული; უმაღლეს განათლებას ყველა ქვეყანაში თავისი ადგილობრივი მიმართულების ხაზი აქვს: იმისი გეგმა ყველგან ადგილობრივ საქვეყნო საჭიროებათა დაკმაყოფილების მიხედვით არის შედგენილი. თითოეულ ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებს ადგილობრივი ხასიათის ძაფები აკავშირებენ თვით ამ ქვეყნის სხვა და სხვა საზოგადოებრივ საჭიროებასთან. ამ სასწავლებლებში აღზრდილი ახალგაზრდობაც უმაღლესი სწავლის საშუალებით განსაზღვრული პრაქტიკული ინტერესებით უკავშირდება თავის ქვეყანას; უმაღლეს სწავლის პრაქტიკული საზოგადოებრივი ღირებულება შეეძინება. ამ სასწავლებლებში აღზრდილი ახალგაზრდობაც განსაზღვრულს ღირებულებას წარმოადგენს ქვეყნისთვის.

სულ სხვა პირობებში იმყოფება ქართველ მოზარდ თაობის უმაღლესი განათლება. ჩვენი ქვეყნის ადგილობრივ საჭიროებათა ნიადაგზე არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ აღმოცენებულა. ჩვენი ახალგაზრდობა უცხო ქვეყნებში უმაღლესი სწავლის მიღებით არ კი უახლოვდება ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულს ცხოვრებას და მის საჭიროებას, პირიქით უფრო შორდება მას. სხვა ქვეყნების საზოგადო საჭიროებათა მიხედვით შედგენილი გეგმა უმაღლესის განათლებისა ვერ აძლევს და ვერც მისცემს ჩვენს სტუდენტებს ისეთს ცოდნას, რომელსაც ჩვენის შინაური ცხოვრებისთვისა აქვს ფასი და ღირებულება. უმაღლესი სწავლა, როგორც სწავლა ე. ი. ცოდნის შეძენა ჩვენი მოზარდი თაობის მიერ სრულიად მოკლებულია ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელობას, რადგან ამ სწავლის და ცოდნის შინაარსი შეთანხმებული არაა ჩვენი ცხოვრების პირობებთან. ესაა ძირითადი მიზეზი იმ საგამოცანო ფაქტისა, რომ ყოველს წელს დაახლოვებით 400 ამდე ყმაწვილი კაცი და ქალი ასრულებენ სხვა და სხვა ადგილას უმაღლეს სასწავლებლებს, მაგრამ ჩვენი შინაური ცხოვრების კალოზე კი იმათი მოქმედება სრულებით არა სჩანს. ქართველი ახალგაზრდობის აღზრდა უმაღლეს სასწავლებლებში ისეთს პირობებში იმყოფება, რომ ამ აღზრდის ერთად ერთი მნიშვნელობა ისაა, რომ უმაღლესი განათლების დიპლომით შეიარაღებული კურს-დასრულებული თავის პირად ცხოვრებისთვის გზას ადვილად გაიკვლევს სამსახურით. ამ გვარად, ჩვენის რწმენით, უმაღლეს განათლების წყურვილს ჩვენ ში ობიექტიურად საზოგადოებრივი მნიშვნელობა კი არა, წმინდა კერძოობითი ინტერესის მნიშვნელობა აქვს. ქართველი საზოგადოება უმაღლესს სასწავლებლებში ისეთს ახალს თაობას კი არა ჰზრდის, რომელიც ჩვენი ქვეყნის მრავალკეცს გასაჭირს გადაეშველება მალამოდ, არამედ ისეთს კერძო ადამიანებს, რომელნიც დიპლომის ძილების შემდეგ მსუქან ჯამაგირიან ადგილებს იშოვნიან, ისიც უფრო რუსეთში, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში.

არც ვამბობთ და არც ვფიქრობთ, ვითომც ებლანდელი ქართველი სტუდენტები პირად ბედნიერების მაძიებელნი იყვნენ. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეიძლება დიდი უმრავლესობა სტუდენტებისა ფართო მსოფლიო იდეალებითაც იყვნენ გამსჭვალულნი, მაგრამ ეს გარე-

მოება საქმის მდგომარეობას არა სცვლის. ეს ფართო იდეალები ცხოვრებასთან პირველ შეხვედრისთანავე დაიმსხვრევიან, ხოლო დიპლომი კი, როგორც პირად ბედნიერებისთვის ბრძოლის იარაღი, დიპლომი კი დარჩება და თავისას იზამს. ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა, მაგრამ ახალგაზრდობას არ შეიძლება დავაკისროთ ამის პასუხისმგებლობა. ჩვენც არავითარ ბრალს არა ვდებთ მოზარდს თაობას, მაგრამ ქართველი საზოგადოება კი ღრმად უნდა დააკვირდეს ფაქტს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაინახოს, რომ არავითარი საზოგადოებრივი ღირებულება არა აქვს ჩვენი ქვეყნისთვის ახალგაზრდობის აღზრდას უცხო ქვეყნების უმაღლესს სასწავლებლებში, უნდა დაინახოს და ამის მიხედვით დაიჭიროს შემდეგისათვის საქმეც.

დიაღ, ჩვენი აზრი ისაა, რომ უმაღლესს სასწავლებლების სტიპენდიები სრულიად უნდა მოისპოს, ხოლო ის ფული კი, თითქმის ასი ათასი მანათი, რომელიც ეხლა სტიპენდიებზე იხარჯება, სახალხო განათლების ისეთს ფორმებზე უნდა დაიხარჯოს, რომელნიც მართლა საზოგადოებრივ ღირებულებას წარმოადგენენ. ეხლანდელ უკუღმართობის დასაბამი უმაღლეს განათლების საქმეში საშუალო სასწავლებელია. რას წარმოადგენს ჩვენებური საშუალო სასწავლებელი? არაფერს, იმის გარდა, რომ იგი გზას უხსნის მოზარდ თაობას უმაღლეს სასწავლებლისაკენ. ჩვენებური საშუალო სასწავლებელი არავითარს დასრულებულს და პრაქტიკულად გამოსადეგს ცოდნას არ იძლევა. საშუალო სასწავლებელში კურს დამთავრებული ყმაწვილი კაცი ჭეშმარიტად უბედური ადამიანია. ცხოვრებისთვის ის სრულიად მოუმზადებელია, არავითარ პრაქტიკული იდეალი მას არ გამოაქვს სკოლიდან. იმისთვის უმაღლესი სწავლა და დიპლომის მიღება ერთად ერთი ხსნა არის. სხვა ცხოვრების გზა არაფერი არ უჩანს წინ. ან უმაღლესი სასწავლებელი და ან ოც მანათიანი რამ მოხელეობა სადმე კანცელარიაში მთელი სიცოცხლით. კრიტიკული მდგომარეობაა და აი, ამ სასწავლებლიდან გამოსულნი მთელის თავის ახალგაზრდურის ენერგიით მისწრაფიან უნივერსიტეტებისაკენ, მიისწრაფიან, თუმცა კარგად ჰხედვენ, რომ ოთხი ან ხუთი წელიწადი მათ უცხო ქვეყანაში უნდა გაატარონ ნახევრად მშიერებმა, ნახევრად შიშვლებმა. ეს დამშევა და ეს შიმშილი გარეგნულად ჭეშმარიტების ან ცოდნის მაძიებლობის მსხვერპლსა ჰგავს. ახალგაზრდობას თავისი თავი ცოდნის წყურვილის მსხვერპლად მიაჩნია, საზოგადოებაც კვერს უკრავს და მით ახალი თაობის აღზრდის საქმე წლითი წლობით უფრო და უფრო ძნელდება.

ყველა ამას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. საზოგადოებრ ვმა ინტერესმა უნდა გაიმარჯვოს გულჩვილობაზე. სხვა გზა არ არის. საზოგადოებამ ახალი გზა უნდა გამოსძებნოს სწავლა-განათლების საქმეში. ეს გზა საშუალო სკოლის ტიპის შეცვლაა. საშუალო სკოლა უნდა შეიცვალოს იმ გვარად, რომ იქ სწავლა-დამთავრებულს პირდაპირ ეხსნებოდეს კარი პრაქტიკულ ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად. საშუალო სკოლის ახალი ტიპი ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებულ პირობების მიხედვით უნდა შემუშავდეს. რუსეთის სასკოლო ბიუროკრატიის მიერ განზრახულ რეფორმებს ტყუილადღა დაუწყებთ ლოდინს. ის ჩვენს სახეირის არაფერს გააჩენს. ახალი თაობის აღზრდა თვით საზოგადოებამ უნდა აიღოს თავის საკუთარს ხელში, თვით საზოგადოებამ უნდა შეჰქმნას თავის საჭიროებათა შესაფერი ტიპი საშუალო სკოლისა. ასეთ საშუალო სკოლაში აღზრდილნი გაცილებით მეტს სიკეთეს შესძენენ ჩვენს ქვეყანას, ვიდრე უცხო ქვეყნებში უმაღლეს სწავლის დიპლომებით დაჯილდოვებულნი.

მესამოცე წლებიდან მოკიდებული დღევანდლამდე ქართველ საზოგადოებაში დაუსრულებლივ გაისმის მოწოდება სწავლისა და განათლების ინტერესის გასაღვიძებლად. მაგრამ დღევანდლამდე ამ მოწოდებას ყოველთვის სქემატიური ხასიათი ჰქონდა, არკვევდნენ და აფიდებდნენ ცოდნის და სწავლის მნიშვნელობას, მაგრამ არავინ არ იკვლევდა, რა გვარი და რა შინაარსის ცოდნაა საჭირო ჩვენთვის, ქართველი ხალხისთვის, ჩვენის ცხოვრების განსაკუთრებით პირობების მიხედვით. ფაქტიურად სწავლის ინტერესების გაღვიძება მთავრობის მიერ დაარსებულ სკოლებში ბავშვების აღზრდით გამოიხატებოდა. ერთს დროს გაზეთებიც კი თითქმის ალტაცებით აღნიშნავდნენ ხოლმე, ამა და ამ გიმნაზიაში წელს ამდენმა და ამდენმა ქართველმა დაასრულა კურსი, აი იმათი გვარებიც, დასტკბით და ისიამოვნეთ, მკითხველნო, ჩვენის წარმატებითო. ამ ზედაპირულ პოლიტიკის ნაყოფი მხოლოდ ეხლა ისნდება მთელის თავის ძლიერებით: ყოველ წლივ ერთ მილიონამდე ფული იხარჯება ქართველ ყმაწვილ კაცობის აღზრდაზე უმაღლესს სასწავლებლებში, ყოველ წლივ ოთხასამდე კაცი ათავებს უმაღლესს სასწავლებელს, ყოველ წლივ დიდი ნაწილი ქველმოქმედთა შეწირულებისა ჰხმარდება სტუდენტობას, მაგრამ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას კი სულ არაფერს არა ჰმატებს ეს საყოველთაო და უზომო გატაცება უმაღლესის სწავლით.

აღზრდა ახალი თაობისა მშობლიურ ნიადაგზე უნდა სწარმოებდეს — ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა არა მარტო პირველ დაწყებით სკოლების შესახებ, არამედ საშუალო და უმაღლეს სკოლების შესახებაც. ისეთ სასწავლებელს, რომელსაც პირდაპირი ცოცხალი კავშირი არა აქვს მოზარდ თაობის სამშობლო ნიადაგთან, სიკეთის მოტანა არ შეუძლიან, სულ ერთია თუნდა უმდაბლესი იყოს ეს სასწავლებელი, თუნდა უმაღლესი. დროა, გერიოზულად დაუფიქრდეთ ამ საგანს და რადიკალურად შევცვალოთ ჩვენი პოლიტიკა ახალი თაობის აღზრდის საქმეში.

ქართული ლიტერატურა 1907 წელს.

მარმან ქართულმა ლიტერატურამ განიცადა უმაგალითო, თავზარდამცემი უბედურება — ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლის ბარბაროსულად მოკვლა. ეს ისეთი იშვიათი კი არა, არ გაგონილი და არ ქმნილი რამ არის, რომ ძალაუნებურად ტვინი გაყინება კაცს. მარმანდელის ლიტერატურის მემატიანემ რაზედ უნდა ილაპარაკოს, თუ არ ამ ჩვენ შემარცხვენელ, ჩვენის ველურობისა და უჯნურობის დამახასიათებელ ფაქტზედ.

რა ტანჯვა-ვაებით უნდა იყოს სავსე ყოველისავე ქართველის გული, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ჩვენს ლიტერატურასთან. საზოგადოება, ხალხი ამნაირად აჯილდოვებს მოხუცს მოძღვარს, რომელსაც ორმოცდა ათის წლის განმავლობაში ხალხში ეჭირა ჩვენის ლიტერატურის სვე-ბედი და რომელმაც მთელი თავისი დიდი ნიჭი და ენერგია სავსებით შეალია ჩვენის ლიტერატურის განდიდებასა და გაბრწყინვებას? ხალხი და ერი ამნაირად ეპყრობა იმას, ვისაც საოცარის წინასწარმეტყველურის გამჭრიახობით ჰქონდა შეგნებული პოეტის დიადი დანიშნულება, იცოდა, რომ

მას ცა ნიჭნავს და ერი ზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ლაპარაკობს,
რომ წარუძღვეს წინა ერსა.
დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმე იყოს
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული ახჩდეს წყლულად,
ეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დაედაგოს მტკიცე გული.

ერი, რომლის გულის მესაიდუმლე დიდებული მგოსანი იყო, მხეცურად და ავაზაკურად მოეკიდა მას და ჩაიდინა დაუვიწყარი საზიზღარი საქმე. «სისხლი იმისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედაო,» იძახოდა ერი ბრიყვი და სულმდაბალი ათასს ცხრაასის წლის წინად, რაც საუკეთესო შვილს ჯვარს აცმევდა. ეს განმეორდა ჩვენში და ეს თითქმის არ ახალია, ძველია, საუკუნო ზღაპარია კაცობრიობის ცხოვრებისა.

არარაობის მონა, სულმდაბალი, არაფერი აზრით და გრძნებით ბრბო სდევნის და სწამლავს არისტიდსა და სოკრატს, ჯვარს აცმევს იესოს, სამშობლოდან განაძევებს ბაირონს. ლაჩარს, მხდალს, უჯნურსა და უმეცარს არ უყვარს თავისზე მაღლა მდგომი, თავისზე უკეთესი, თითქო იმისთვის ეს სინდისის მხილების სიმბოლო იყოს. თითქო მისთვის უფრო მტანჯი, უფრო მეხანგრე ხდება ის წუმპე, რომელშიაც მას განცხრომით სძინავს სიკვდილის მსგავსის ძილით.

ილია ჭავჭავაძის ვერაგულადა და ავაზაკურად დატანჯვა და მოკვლა — ეს არის დაგვირგვინება მთელის ჩვენის მოქმედებისა და განწყობილებისა ჩვენს გონების საუკეთესო წარმომადგენლების მიმართ. ჩვენში ლიტერატორი, ღვთისაგან რჩეული ადამიანი, კაცისაგან დევნილი და შეურაცხყოფილია. მწერალი, რომელიც ერთგვარი ნაზი ყვავილია, რომელსაც განსაკუთრებული სიყვარული, სიმპატია და მოვლა ეჭირვება, ჩვენში გაუპატიურებულია. მის ნაწერს მისი მახლობელი და მეგობარიც არა ჰკითხულობს. ქონებრივ ჯილდოს თქვენი ჭირი წაუღია, მაგრამ ზნეობრივადაც ყოველისავე მადლობას მოკლებულია. — ისე ვეპყრობით ჩვენს მწერლებს, თითქო შეურაცხყოფა მოეყენებინოთ თავიანთ ქვეყნისათვის, რომ კალმისათვის ცხოვრება შეუწირავთ და სცდილობენ ზეციური აზრი შეგვაგნებინონ და სიმშვენიერე თვალ წინ დაგვიხატონ.

ამის საუკეთესო მაგალითი ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და სიკვდილია. თვალ წინ მოგვიკლეს ეს კაცი, ეს დიდებული მოძღვარი, ჩვენის ერის სულის მშვენება და ჩვენ ვერც კი გავიგეთ, ვინ, როგორ, რატომ. განა თუ ეს ცოდნა იმისთვის იყოს საინტერესო, რომ ერთი თუ ორი გიჟი და ავადმყოფი ხეზედ ჩამოეკიდო ან დასწყევლო და დასტუქსო. საოცარია — ასეთი დიდი მოვლენა მოხდეს და ერმა სავსებით არ იცოდეს ყოველი მომენტი ამ მოვლენისა, და განა ეს შესაძლოა, თუ მთელი ერი, მთელი საზოგადოება ბოროტ მოქმედებით აღსავსე გულგრილობით არ ეკიდებოდეს ამ საშინელს საქმეს? განა შესაძლო იყო მომხდარიყო ასეთი რამ, თუ ქართველ ერს არა ჰქონდეს საუკუნეთი განმტკიცებული უჯნური განწყობილება თავისის საუკეთესო ადამიანების მიმართ, იმ საუკეთესოების მიმართ, რომელთაც ჰქმნიან ცხოვრების აზრს და ბრწყინვალე მომავალის მაუწყებელნი არიან.

იესოს გაცემა მოინდომა ერთმა მოციქულთაგანმა. იესომ ეს იგრძნო და მოციქულებს გაუმჟღავნა. იმათ სხვა ვერა მოიმოქმედეს რა და ერთი მეორეს ასწრებდნენ და მოძღვარს გაოცებულნი ჰკითხავდნენ: „ნუ თუ მე ვარ, მოძღვარო, ნუ თუ მე ვარო“. და ყველაზედ უფრო გამწარებული ის კითხულობდა, რომელიც აპირებდა იმის გაცემას და „პინაკსა შინა ხელს ჩაჰყოფდა“. სწორედ ასევე გამეორდა ორის ათასის წლის შემდეგაც. საზიზღარის მკვლელობის ჩადენის მერე ჩვენ ერთმანეთს ვეჯიბრებით ხმის განცხადებაში, ,,ჩვენ ხომ არაფერი ვართო‘‘*), თითქო ეს თავის გამართლება იყოს და თითქო შეიძლება რომელიმე ჩვენგანმა უდანაშაულოდ ჩასთვალოს თავის თავი იმით, რომ ეს ჩვენი მომაკვდინებელი მოქმედება ასე გამოურკვეველი, ჯანყითა და ბურუსით მოცული რჩება. წარსულმა წელმა გამოაამჟღავნა ჩვენი ერის ძმიმე და უკურნებელი სენი, ყველასთვის თვალ საჩინო გახადა, სადამდის შეიძლება მივიდეს ერი, რომელიც ასის წლის განმავლობაში ისეთ პირობებშია, როგორც ჩვენი ერია. ეს წელიწადი ჩვენის მწერლობისა და მის მოყვარეთათვის საუკუნოდ სამგლოვიარო, საუკუნოდ სახსოვარი, საუკუნოდ მტანჯავი იქნება.

საერთოდ კი უნდა მოგახსენოთ ჩვენს ლიტერატურაზედ, რომ დიადმა ხანამ რევოლიუციისამ მეტად ცუდი ჰავლენა იქონია. ეს სამი წელიწადია ჩვენი საუკეთესო მწერლები ან მიჩუმებულნი არიან, ან და უგუნებოდ, გაუტაცებლად, თუ დაუწერიათ ერთი ორიოდე სტრიქონი, ისიც ისეთი, რომ შეიძლება სრულიად უყურადღებოდ ჩაატაროს კაცმა. ამ სამის წლის განმავლობაში ჩვენს ლიტერატურას არაფერი შეხანიშნავი არ შეუქმნია. ეს მოვლენა დიდ მნიშვნელოვანია და საყურადღებო.

რად მოხდა ესა? მაშინ, როდესაც რუსეთის ლიტერატურა შესანიშნავად აყვავდა და არა ჩვეულებრივის სიცოცხლით აღივსო; მაშინ როდესაც რუსულმა ლიტერატურამ დიდ-მნიშვნელოვანი ახალი საგრეპი წამოაყენა; მაშინ როდესაც რუსეთის ლიტერატურაზედ რევოლიუციამ რადიკალური გავლენა იქონია და მხოლოდ ახალი მიმართულება მისცა ამ ლიტერატურას, რომელიც, როგორც რევოლიუციის შვილი, ემსახურება ამავე რევოლიუციას, ამსხვრევს ძველ კერპებს, დამპალ საძირკველს უთხრის ოჯახებრივ კანონებს, სქესებრივ განწყობილებასა და სხვა დახავსებულ პრინციპებს, რომელზედაც აგებულია დღევანდელი გახრწნილი საზოგადოება — ამ დროს ქართული ლიტერატურა ღრმა დუმილსა და გულ-გრილობას მოუცავს?

ჩვენმა ამ დროის ლიტერატორებმა განიცადეს ის გაზაფხული, რომლის შემდეგ, ერთის ნაწყვეტისა არ იყოს, ,,აღარ დამდგარა ნამდვილი გაზაფხული ის, ის იყო ნამდვილი გაზაფხული, .. ის... სიცოცხლის გაზაფხული იყოო,‘‘**) ამ გაზაფხულს კი ჩვენის მწერლების ჩანგის სიმები უსათუოდ უნდა აეჟღერებინა, უსათუოდ ციურის ხმებით გინდა გალობით ხმა უნდა გამოეთქმევინებინა... მაგრამ სდუმს და საოცარის გულგრილობით მოხილია ჩვენი მწერლობა, მართალია, გაზაფხულს საღ-

*) ისიც კი ითქვა, როცა ხესა სჭრიან, ნაფოტები სცვივაო‘ თუ ილია ჭავჭავაძე ნაფოტი იყო, ამის დამწერი რაღა უნდა იყოს? ეხლა ხანს მწერლობაში ის აზრია გავრცელებული, იუდამ იესოს სამსახური გაუწიაო, სწორედ ჩვენმა იუდებმაც მათთვის მოულოდნელად და შეთდა ჩინებულად ილიას დიდი სამსახური გაუწიეს.

ფელეტონი

შინაური ამბები

ჩვენსთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?

ილია ჭავჭავაძე.

მეტიხარა პედაგოგი.—მთავრობის მამასახლისი.—კახელი გლეხი.—ნაფარეული გიჟა.

დეპუტატების არჩევნებზე რომ მიდგა საქმე მესამედ, ატრიალდა ჯარასავით გამარჯვებას ჩვეული დასი ეგრედ წოდებულ სოციალ-დემოკრატებისა; თავდაბაბადან ესეა მიღებული, რომ სუფრის თავს ხშირად ის წამოსკუპდება ხოლმე, ვინც უფრო ფეხ-მარდია, გაძრომ-გამოძრომა ეხერხება და, უკაცრავად-კი ნუ ვიქნებით, თავაზიანობასთან მწყრალად გახლავთ და ეთიკა-მორალს აგრე რიგად პატივს არა სცემს.

ასეა თუ ისე, გამარჯვებულმა კვლავ გაიმარჯვა. ავირჩიეთ ჰირისუფლად ერისა კარლო ჩხეიძე. ვინ იყო ბატონი ჩხეიძე, რომელსაც თვისი ბედი ანდო ამომსავლეთმა საქართველომ, თითქმის არავინ იცოდა შინაურებისა და მეგობრების გარდა. სახელიც უცნაური ჰქონდა, ქართველის ყურს ეხამუშებოდა. ლაყე კვერცხად გამოდგებოდა ახალი დეპუტატი, თუ წიწილას გამოჩეკდა, ამას, რასაკვირველია, მომავალი გვაჩვენებდა. მოთმინებით ველოდით საქმიანობას და თუ იგი საკეთილო იქნებოდა და მალამოდ დაედებოდა დაჩაგრულ ქვეყანას, რომელიც ბინას ჰკარგავს და ძალ მომრეობის მორევში ილრჩობა, მაშინ უეჭველია დავივიწყებდით იმის უზომო „დასელობას“ და უარარაობას.

განვლო სათათბიროს არსებობის ერთმა თვემ. დადგა ჟამი, ოდეს ჩვენს დეპუტატსაც შეჰხვდა ჯერი ლაპარაკისა და... სწორედ საოცარი ამბავი მოხდა: დეპუტატმა დეპუტატობას თავი დაანება და შეუდგა ეკლიან გზას „პედაგოგისას“. დამტვრეულის რუსულით მთელი საათი ჰკუას ასწავლიდა პოლონელ დეპუტატებს, მთელ პოლონეთს და კერძოდ დეპუტატ დმოვსკის, თუ როგორ მოიპოვონ ავტონომია. დალოცვილი კარლოსი შინ ხმას არ იღებს ავტონომიაზე, ძალზე ერიდება ამ სიტყვას, ხოლო იქ, სანეტარო და სატრფიალო ცენტრში აღაღო ბაგენი თვისნი და აბნია მარგალიტები თვისისა ფილოსოფიისა, ვინც პოლონეთს იცნობს, ყველა მიჰხვდება, რომ კარლო ჩხეიძე დიდ ხანს მოუნდება პოლონელ დეპუტატების გაწვრთნას და მათ გადარჯულებას.

მაშ დაულოცოთ ეკლიანი გზა პედაგოგისა საქართველოდან წასულ დეპუტატს, დავანებოთ თავი მის მოქალაქობას და დაუბრუნდეთ შინაურ ამბებს, იმ პატარა ამბებს, რომელთაგანაც შესდგება ჩვენი ცხოვრება. ეგება მათის გამომჟღავნებით საზოგადოება გამოფხიზლდეს და ჩვენმა მომავალმა დეპუტატებმა შეიგნონ, რომ ჯერ თავიანთი მოტვლეპილი თავი უნდა მოირჩინონ და მერმე წამალი სხვას მიაწოდონ.

—

მოგეხსენებათ, რომ ძველ საქართველოს სხვა და სხვა ნაწილი ბევრჯელა ყოფილა გარედან მოსულის მტრის ხელში. რა საჭიროა იმის თქმა, თუ რა ვაისა და ვუის კორიანტელში იხრჩობოდა ასეთ ყოფაში ჩავარდნილი ქვეყნის ნაწილი. ამას ყველა მიჰხვდება, ვისაც ჯერ კიდევ შერჩენია საღი ტვინი და არ დაუპობია იგი ქუჩაში აკრეფილ სწავლა-მოძღვრებით.

დღევანდელი ცენტრი საქართველოსი — ქართლი განიცდის სწორედ ამისთანა ისტორიულ ბედსა. მართალია, გარედან არავინ შესევია, მაგრამ მახლობელნი მაინც იკლებენ გაუბედურებულ და უპატრონო ქართლს. ჩვენივე მეზობლის, ოვსეთის ნაძირალნი ერთგულად შეუდგნენ ქართლში „კრამოლის“ ამოფხვრას. მთელი ქართლი აივსო მთიდან ჩამოსულ გმირებით, რომელთაც მიიღეს სტრაჟის სახე და ამშვიდებენ კალაპოტიდან გამოსულ ტეტიას. მათგანვე არჩევს მაზრის ადმინისტრაცია მამასახლისებს.

ბევრი თქმულა და დაწერილა მათ საქციელზე, მაგრამ რასაც მატყობინებს ერთ მათგანზე კორესპონდენტი, ჯერ არსად გაგონილა და შესაძლებელია მხოლოდ უპატრონო ქვეყანაში. აი, მოისმინეთ თქვენ თვითონ და მიხვდებით, თუ რა ყოფაშია ქართლი. მამასახლისს დავარქვათ იგრეკი, იმის სახანოს, ანუ სამფლობელოს „ვერანა“.

ვერანის ბატონს თვეში ჯამაგირი აქვს 60 მ. ჯამაგირი ეძლევა ხალხის ჯიბიდან. ნაზირ-ვეზირებად დაუყენებია ღვიძლი ძმა, ცოლის ძმანი და ბიძაშვილები, რომელთაც ხალხი აძლევს ჯამაგირს ფულად. ბატონი იგრეკი ამით არა კმაყოფილდება და ვერანის სოფლებში ჰგზავნის სასტიკ და ცხარე ფირმანებს — ჩქარა ბზე და ქერიო. ვაი იმ სოფელს, რომელიც არ შეასრულებს ფირმანს. ნაზირვეზირნი აიკლებენ და აატუტებენ ურჩ სოფელს. რომ სახანოში „რკამოლა“ არ შემოიპაროს, ბატონ იგრეკს შეუთვისებია სულ უბრალო პრინციპები მართვა-გამგეობისა: მართალმა და მტყუანმა ერთგვარად უნდა იხადოს ჯარიმა და ზიდოს ხ ნიც სალაროში. ვასახელებთ რამდენსამე მაგალითს სახანოს ცხოვრებიდან.

1. ერთ პატარა სოფელში, სადაც ოცდა-ათი მეკომურია, ქურდობა მომხდარა. შეიტყო ეს ამბავი იგრეკმა, დიდად იწყინა, მიფრინდა სოფელში ნაზირ-ვეზირით და ყველანი დააჯარიმა ორ-ორი მანეთით, განურჩევლად მართლისა და მტყუანისა. ჯარიმა იგრეკის სალაროს მიემატა. 2. მეორე სოფლის ერთ გლეხს შეაწერა და წაართვა თვრამეტი თუმანი. ერთობის დროს შენ რაზმელებს ბინას აძლევდიო. თუ არ მომცემ ჯარიმას, გაგანიოროწყლებო. 3. ვერანის მესამე სოფელს შეაწერა ათი თუმანი, ეგზეკუციით აღარ შეგაწუხებთო. 4. მეოთხე სოფელს წაედავა, ნედლი შეშა მოგიჭრიათო, და ექვსი თუმანი წაართვა, სულ კი სოფელში 5 კომლია. 5. მეხუთე სოფელში ორ დედაკაცს ჩხუბი მოუვიდა და ერთმანეთს კავები აგლიჯეს. იწყინა იგრეკმა ასეთი ლირფობა და იმათ ქმრებს თითოს ოცდა-ხუთ-ხუთი მანეთი ავგლიჯა. 6. მეექვსე სოფელში ორ ბიჭს ჩხუბი მოუვიდათ. არც ეს იამა ხანსა, ჩემს სამფლობელოში ჩხუბი როგორ შეიძლებაო და მოჩხუბრებს თითო თუმანი გადაახდევინა. 7. ვერანის სახანოში მშვენიერი მუხის ტყეა, მისი პატრონი სხვაგანაა წასული. იგრეკმა ისარგებლა აჲით და თვითონ დაუწყო ტყეს პატრონობა, თანახმად ანდაზისა: „უპატრონო ეკკლესიას ეშმაკი დაეპატრონაო“.

„მუხნარელებს“ იგრეკმა შეაწერა ორასი მუხის ხე: მომიჭერით, მომიზიდეთ, დავხერხავ და ჩემ საკუთარ სოფელში გადამიზიდეთ: სახლებს ვაშენებ და მჭირდებაო. ფულად რას შეადგენს ეს „ხარაჯა“, მკითხველმა გამოიცნოს. 8. ერთ გლეხს იგრეკმა შარი მოსდო, ტყის ხეები დაუბარავი რადა გაქვსო! წაართვა ხეები, დახერხინა და წაიღებინა თავის სოფელში — გამომადგება იატაკის დასაგებად და ლამფის გასაკეთებლადაო.

დეპუტატ კარლო ჩხეიძეს, „პედაგოგობა“ რომ არ ეკისრა, ან მეტიხრობაზე რომ ხელს აიღებდეს, მარტო ეს „შინაური ამბავი“ ეყოფოდა სათათბიროში „ზაპროსის“ შესატანად. სწორედ მოგახსენოთ არც ბ-ნი იგრეკი ყოფილა დიდი ჭკუის პატრონი და არც პოლიტიკა-დიპლომატია სცოდნია, რა ხილია. ისტორიიდან ვიცით, რომ „ოვსეთი“ ქართლით გამოდიოდა, იკვებებოდა. განა მადლობის მაგიერია ასეთი ხანური საქციელი?

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ასეთი ველურობა ველურის იგრეკისა? განა ქვეყანაზე აღარ მოიპოვება სამართალი? განა სალსარი აღარაა, კრიჭა აეკრას ბოროტებას?

—

დიახ, ქართლში რომ ეს ამბებია, კახეთში უარესობაა. საქართველო დღეს წააგავს მსუქან დუმას, გარეშე კაცი მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა თლის კაი-კაი ნაჭრებს. უფრო მდაბიოდ რომ მოგახსენოთ, ჩვენი ტერრიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ, ქართველები, ამ დუმის თლას ან მიწა-წყლის გადასვლას სხვის ხელში როდი ვეწინააღმდეგებით სასტიკად, აი როგორც კარლო ჩხეიძის შეგირდი პოლონელები. ხელის შეშლა რა სათქმელია, როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას! დეპუტატ კარლოსის პროფესორებიც გაჯავრდებიან, აი თქვე შოვინისტებოო, განა სულ ერთი არის — ვის ხელში იქნება ქართლ-კახეთის ავლა-დიდება, ქართ-

ცარი, უცნაური სუსხიანი და ყინვიანი ზამთარი მოჰყვა, რომელმაც ჩვენი „ობოლი ქვეყნარი“ გაზაფხულის მოციქული იმსხვერპლა და მოუსპო მას მეორე გაზაფხულის ხილვა, ** მაგრამ თვით ამ ზამთრის სუსხსაც თავისებურად უნდა ემოქმედნა ჩვენის მწერლების ნაზ ბუნებაზედ და საუცხოვო კვნესით უნდა აევსო ჩვენი მიდამო. ნამდვილად კი ხდება ჩვენი მწერლობა, გულგრილობის ნაცრის ფერი, გახუნებული სუდარა აქვს გადაფარებული.

ნუ თუ იერემიას გოდების მსგავსი რამ არ უნდა გამოეთქვა ჩვენს მწერლობას, მიეწმეს ჩვენის ქვეყნის ისეთის აოხრებისას, რომლის მსგავსი იშვიათად განუცდია მრავალ-ტანჯულს ერს არა, ჩვენი მწერლობა გაყუჩებულა, გაჩუმებულა და უსიცოცხლო გულგრილობით არის შეპყრობილი. იქნებ ჩვენს მწერლობაზე იმოქმედა რევოლიუციის ნექტარით ჯამთვრალის ხალხის ყაყანალიამ, რომელიც თავისებურობის უარ-ყოფაში ხაოცარ და გაუგებარ უკიდურესობამდე მივიდა? ერთმა უნიჭიერესმა ჩვენმა მწერალთაგანმა მითხრა, «ვისთვის ვწერო, ვის რაღად უნდივარ. სიტყვა ქართველობა ეხლა ჯაშუშობის ინონიმად გარდიქმნა, მოდი და ასეთ ატმოსფერაში მოიპოვე ზე-შთაგონებაო». რომ ეს ატმოსფერა მეტად მძიმე და მოწამლული იყო. ამას ის კატასტროფა ამტკიცებს, რომელიც გამოიხატა ჩვენის მწერლობის გვირგვინის უმადურად დაგლეჯაში, აბა გაამტყუნეთ ჩვენი მწერლები, რომ ასეთს ჟამში სუნთქვა უჭირთ და გაამტყუნეთ იგინი, რომ ასეთს ნიადაგზე თან და თან ხმებიან და სიცოცხლის ძალა ეპპობათ!

მაგრამ, დაე, იკვნესონ, იტირონ, ცრემლები ღვარონ და გოდებას მათსას საზღვარი ნუ ექმნება, დაე, ყველამ გედის სიმღერასავით მორთოს თავისი ქნარი, ოღონდ მოგვაშორეთ, არ გვინდა ეს მშრალი, უშინაარსო, ყოველსავე სიცოცხლეს და სიმშვენიერეს მოკლებული სიჩუმე. მოჰხადეთ თავიდან ჩვენს მწერლობას ეს ბინძური, ნაცრის ფერი არარაობისა და გულგრილობის პირბადე, დაგვანახვეთ მისი ცრემლები. ცრემლები ტანჯვასა და ვაებისა, ცრემლები კვნესისა და სევდისა—ყოველ კვნესას, ყოველ ცრემლს ძალაუნებურად მოჰყვება რაიმე ტანჯვასა და ვაებაზედ უფრო საიმედო და სამხიარულო; უამისოდ ცხოვრება—ცხოვრება არ იქნებოდა. ცხოვრება ორ პიროვანი სფინქსია, რომელსაც ხშირად პირად სიხარული აქვს და სარჩულად კვნესა და თითქმის მგრეთვე ხშირად ზედა-პირზედ ვაებას ვხედავთ, მაშინ როცა მხიარულება ქვედა-პირში აქვს მოქცეული. ცხოვრება თავის დღეში ერთ პირი არა ყოფილა, არც ერთ მხრივი—იგი მრავალ მხრივია და თვით ამიტომ მშვენიერი და დაუსრულებელის ინტერესის აღმძვრელი.

კოტე აბაშიძე.

) „ისარი“ № 86 „ეტიუდი“ ივ. ზ—შვილისა. *) იქვე.

ველ სა, თუ სხვისა. ოღონდაც რომ სულ ერთია და აკი ამისთვის ბატონმა კარლო ჩხეიძემ თავი დაანება დეპუტატობას და პოლონელების განვითარებას მიჰყო ხელი.

შუაგულ კახეთში არის სოფელი ნაფარეული. დიდი მამულები შეიძინა ამ ათიოდე წლის წინად საუფლისწულო უწყებამ. რადგან მამული ჰაზბად იყო, საუფლისწულო უწყებამ ეხვეწებოდა ქართველ გლეხებს, იყიდით მამული და მოიხმარეთ, როგორც გენებებათო. ცივი უარი სტკიცეს ქართველებმა, არ გვინდა, რა თავში ვიხლით, არ ვ ყიდითო. რაკი საქმე ასე წავიდა, აიგენენ და იჰყიდეს მამული მალაკნებს. ნასყიდ მამულზე მალაკნები ააშენებენ სოფელს და ამ გვარად შიგ შუაგულ კახეთში გაჩნდება პირველი რუსული სოფელი, რომელიც, უეჭველია, იბარტყებს. რადგან ნაფარეული ციებცხელებიანია და დახაშმული, დარწმუნებული ვართ, რომ ახალ სოფლელებს პატრონი აღმოუჩნდება და მალლობებზე დაასახლებენ, რომ არ გაწყდნენ. ესეც რომ არ იყვეს, მალაკნები ჰქვიანები არიან და ციებცხელებას გაუმკლავდებიან.

ან-კი ვინ ჩააგონებს კახელს, რომ მამულს უნდა ორი ხელით მოებღაუჭოს. კორესპონდენტი მწერს კახეთიდან ამ საგნის გამო შემდეგს: მთელი თელავის მაზრის მემამულენი ძვალ არიან გაჰყიდონ თავიანთი მამული ნახევარ ფასად, მაგრამ მყიდველი არსაიდანა სჩანს.. აქაური გლეხი მიწის შეძენას არა ფიქრობს, ვინაიდან დაარწმუნეს, რომ მიწა მიეცემა უსასყიდლოდ, რის გამო სდგას და შეჰყურებს იმ ბედნიერ მომავალს, როდესაც საშვილიშვილოდ დარჩება კახეთის არე-მარე. მემამულეები მოიშორებენ თავიდან მიწებს, ავად იქნება თუ კარგად, მხოლოდ ჩვენი გლეხი-კი დარჩება უმიწოდ. ერთი სოფლის გლეხები ამბობენ, რომ მემამულეებისაგან მამულებს შეისყიდის მთავრობა და ეს უკანასკნელი ჩვენ დაგვითმობს დესეტინას ექვს შაურადაო, მწერს ჩემი კორრესპონდენტი.

თუ ამ გზით ვიარეთ, უეჭველია, ჩვენი ტერიტორია მალე დაიფუყება და საქართველოს ნიადაგზე ისე აჭრელდება სხვა და სხვა ტომთა და ერთა სოფლებით, რომ თვით დახელოვნებული ეთნოგრაფი, განსვენებული ლ. ზაგურსკი რომ წამოდგეს საფლავიდან, ვეღარ იცნობს აქაურობას და დაიკვეხებს: ეს რა ქვეყანაა—საქართველოა, თუ ეთნოგრაფიული გამოფენაო!

კახელების სანუგეშოდ შეგვიძლიან ესეც ვთქვათ. ბორჩალოს მაზრაში არის პატარა სოფელი მიჯა, ესე 60—70 კომლიანი. ეჭირა მამა პაპიდან საიჯაროდ 200 დესეტინა სახნავი. მემამულე თავადი ვაკოტრდა, მამული საგლეხო ბანკმა შეიძინა და შემდეგ ნაყიდი, მიჯელების ნაჭერი, მიჯელებს კი არ მიჰყიდა, როგორც სამართალი მოითხოვდა, არა, მეზობელ სოფელ დალლარს (ბინადრობს თორმეტიოდე ეული თათარი) დაუმტკიცა. საბუთი? ესა სთქვეს, მიჯელები ბევრნი არიან, მაგათ ორასი დესეტინა პირს ვერ მოსწმენდავს, ათასი დესეტინაც არ ეყოფათ, ხოლო დალლარელები დაპურდებიანო. პირველად მესმის, რომ უმცირესობის ინტერესს ჩაენთქას ინტერესი უმრავლესობისა, მაგრამ როცა ჯერი ქართველებზე მიდგება ხოლმე, ყველაფერი შესაძლებელია. ეხლა მიჯელები დაწრწიან და არზებს ჰგზავნიან აქეთ-იქით.

ა. —ლი.

ახალი ამბავი

✦ ყუმბარების საწყობი ბაქოში. 4 იანვარს ბაქოში გაუხსნიათ უსაქმოდ დარჩენილთა კავშირის სამჭოს კასირი რეინიში. უნახავთ მთელი ლაბორატორია ასაფეთქებელ ნივთიერებათა. სხვათა შორის, უნახავთ რამდენიმე დამზადებული ყუმბარა, დინამიტი და სხვა ნივთიერებანი. რეინიში დამალა, იმისი ცოლი დაპატიმრეს.

✦ სახალხო უნივერსიტეტი. დღეს, 6 იანვარს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ბ-ნი ნ. ს. დერჟავინი წაიკითხავს ლექციას რუსულად: „დვორიანსკოე გნეზდო“ ბილეთები გაიყიდება 12 საათზე 10 კაპ. და 5 კაპ.

✦ სახ უნივერს. საზოგადოების განყოფილება გორში. გორის ინტელიგენციამ გადასწყვიტა დაარსოს გორში ტფ სახალხო საუნივერსიტეტო საზოგადოების განყოფილება. ვიდრე ნებართვას მიიღებდნენ, აზრადა აქვთ ლექციების წასაკითხად მიიწვიონ ტფილისიდან ლექტორები. პირველი ლექცია წაიკითხა პ. სურგულაძემ. ლექცია შეეხებოდა სკოლის გარეშე განათლებას. ლექციას, რომელიც უფასოდ გაიმართა, ბევრი ხალხი დაესწრო მეორე ლექცია 13 იანვარს გაიმართება.

✦ სავალდებულო დადგენილებანი აბანოებისათვის. 4 იანვარს ქალაქის სასანიტარო კომისიამ შეიმუშავა პროექტი სავალდებულო დადგენილებათა ტფილისის აბანოებისათვის. პროექტი ჯერ გამგეობას და მერე საბჭოს წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად.

✦ ლექცია შოთა რუსთაველზე. ხვალ, 7 იანვარს საღამოს 6 საათზედ, პუშკინის სახელობის სამკითხველოს სადგომში პროფ. ალ. ს. ხახანაშვილი წაიკითხავს ქართულად ლექციას შოთა რუსთაველზე. შემოსავალი ლექციისა გადაიდება ყაზბეგის ქალთა სკოლის სასარგებლოდ.

✦ კავკავის სკოლის მასწავ. ადგილი. ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ: ვინც სთხოვნა შეიტანა ხსენებულ ადგილისათვის, უნდა გამოცხადდეს წ. კ. საზოგადოების კანცელარიაში 7 იანვარს 12 საათიდამ ცნობების მისაღებად.

✦ წყალ კურთხევა. დღეს წყალ-კურთხევა მტკვარზე აღარ მოხდება: მართლმადიდებლებისა მოხდება ალექსანდრეს ბაღში, სომეხ-გრიგორიანებისა—ვანქის ტაძარში.

**✦ მოგვიდა ახალი წიგნი „საქართველოს მოკლე ისტორია“, ნაწილი პირველი, შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ. ამ წიგნში ბევრი საყურადღებო ცნობაა მოთავსებული საქართველოს შესახებ, ჩინებულად არის დაბეჭდილი, შეიცავს 169 გვერდს და ღირს შედარებით იაფად—ორ აბაზად.

✦ წინადაც ვწერდით და ეხლაც ვწერთ, ყურადღება მიაქციონ ქველმოქმედებმა ერთ მეტად გაჭირვებულ ოჯახს რუხაძისას. ეს ოჯახი დედისა და ხუთის შვილისგან შესდგება. უფროსი შვილი 11 წლისა მამა ბავშვებს სოხუმში მოუკლეს მოძრაობის დროს და ეხლა მთელ ოჯახს დღუმა შური ენატრება. ადრესი ნაძალადევი, მაღაროვის სახლი, ნინო რუხაძე.

✦ 3 იანვარს პოლიციამ დააპატიმრა ამას წინად ტფ საგუბერნიო-გუბერნატორიდან გადასახლებულნი და უკან დაბრუნებულნი მეტრე ბარაბაძე და ვიქტორ მახნაზევი.

✦ 3 იანვარს, დილის 10 საათზედ, დიდი ვანქის ქუჩაზე, რიზაევის სახლში, თავი მოიწამლა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებმა ქალმა ეკატერინე გვალიამ. მიზეზი როგორც ამბობენ, ისა ყოფილა, რომ მისი საყვარელი როსტოველი ალექსანდრე ზარადოვსკი ბაქოში აპირებდა წასვლას. როდესაც შინ დაბრუნებულმა ზავადოვსკიმ ნახა მოწამლული ქალი, თითონაც თავის მოკვლა განიზრახა და სულმა მიიღო. მოწამლულები მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. ზავადოვსკი მორჩა. ექიმებს გვალიას მორჩენის იმედიც აქვთ.

✦ ტფ. მცხოვრებმა ივანე მაისურაძემ განაცხადა პოლიციაში: 4 იანვარს სადამოთი ჩავჯექი კონ. ჯოხაძის ეტლში და კახეთის ქუჩისაკენ გავემგზავრე. გზაზე შეუხვიეთ სულთანოვის დუქანში; იქ ნახევარი თუნგი ღვინო დავლიეთ და მერე ჩემ ბინაზე წავედით იმავე ეტლით. მე ეტლში ჩამეძინა. ამით ისარგებლა მეეტლემ და გამცარცვა. მეეტლეს წაუღრია ბეჭდები 75 მან., ფულად 94 მან. და ქაღალდები, შემდეგ ლაგოდეხის ქუჩაზე ეტლიდან გადმოუგდია და მიმალულა. ჯოხაძე დააპატიმრეს.

✦ ოლგას ქუჩაზე, 4 იანვარს საღამოთი კბილის ექიმის ნინო რცხილაძის ბინიდან ქურდებს მოუპარიათ ოთხი წყვილი კალოში და ერთი საზამთრო პალტო ქურდებს შესავალი კარები გასაღებით გაუღიათ და ისე შესულან.

ქუთაისის ქრონიკა

✦ 1 იანვარს დასრულდა გუბერნიის სატუსაღოში ტუსაღების შიმშილით გაფიცვა, რომელიც გამოწვეული იყო სატუსაღოში დამყარებულ წესრიგით. სატუსაღო 250 კაცისთვის არის, მაგრამ ამ ჟამად იქ 700 კაცია. ადმინისტრაციამ დააკმაყოფილა ზოგიერთი მოთხოვნილება; სხვებს საგუბერნიო საპატიმრო კომიტეტი განიხილავს, ამიტომ ტუსაღებმა შიმშილობა მოხსნეს.

✦ 1 იანვრიდან დაიკეტა ბაქრაძისა და როდზევიჩის საავადმყოფო, რომელიც განსვენებულ თოფურიას სიკვდილის შემდეგ განაახლეს ამ ექიმებმა. დიდი, ძალიან დიდი შრომა დასჭირდათ, რომ საქმე კალაპოტში ჩაეყენებინათ. სწორედ ამ დროს დაიწყო უწესობა საავადმყოფოში რომელმაც გამწვავა ურთიერთობა ადმინისტრაციასა და მოსამსახურეთა შორის. არც ავადმყოფნი უწყობდნენ ხელს საქმეს: ბევრი მორჩენის შემდეგ გადასახადს არ იხდიდა. მარშან საავადმყოფოს 3000 მანეთამდე ზარალი მოუვიდა. ამას ზედ დაერთო ბ-ნ ბაქრაძის დაჭრა და რადა გასაკვირველია, თუ საავადმყოფო დაიკეტეს. თოფურიასეული საავადმყოფო ერთად-ერთი დაწესებულება იყო ქუთაისის გუბერნიაში, რომელიც დაავადებულ ხალხს ემსახურებოდა.

✦ ქალაქის საბჭომ თავი ისახელა: გოროდოვოებს ჯამაგირი აუწია თითოს 15-დან 25 მანეთამდე ზედ მეტად პოლიციის შესანახად საჭიროა 4000 მანეთი. ამ გადაწყვეტილებაში, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გუბერნატორის მოწყობილობას, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა არც იმასა ჰქონდა, რომ ხმოსნებმა თავიანთ თავზეც აცილეს ხარჯი, ვინაიდან თუ ქალაქი არ იკისრებდა ამ ხარჯს, ფიქრობდნენ, მოქალაქეებისთვის დაეკისრებინათ.

✦ გუბერნატორმა არ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება სადღეისოს ტეის ექსპლოატაციის შესახებ; საქმე მოხსენდება ნამესტნიკს.

დემაგოგებს

იძულებული ვხდებით ამნაირად მივმართოთ „ცისარტყელა“-ს მწერლებს. დემაგოგია, გაუგებრობა, განზრახ ვადამახინჯება, ზნეობრივი გახრწნილება, სრული უილაჯობა სერიოზულ კამათისა,—ყველა ეს ისე არის ერთმანეთში დომხალივით არეული, რომ ჩვენ თამამად შეგვიძლიან მას „დემაგოგიის გოლოლი“ ვუწოდოთ.

წაიკითხეთ გუშინდელი „ცისარტყელა“, თუ არა გჯერათ, და დარწმუნდებით

წამოისროლა უაზრო სიტყვები ნ. ჟ., მას გამოეხმაურა „ყარიბი“, ეხლა ამათ ბანი მისცა „ცისარტყელამ“ და ეს „კარტით კონცერტი“ უშნოთა და ულაზათოდ დაიმღერს უშნოსა და ულაზათო სიმღერას: „ერთის მხრით დგას პარტია, უმთავრესად ქართველთ ინტელიგენციისა, რომელსაც მისდევს თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიის ერთი ნაწილი. ეს პარტიაა სოც.-ფედერალისტები, მეორე მხრით სდგას პარტია მუშებისა, რომელსაც მისდევს ქართველი პროლეტარიატი და გლეხ-კაცობა, ეს არის პარტია სოციალ-დემოკრატების“. ჰო გეყოთ, ვაჟბატონებს, ამოდენა პუბლიცისტური ოინბაზობა? თუ მოწინააღმდეგებთან ბრძოლა გინდათ, პატიოსნების იარაღით ილაშქრეთ, თორემ ასეთი პოლემიკა, რომელსაც თქვენა სწევთ, სრულს გათახსირებამდე მიგიყვანთ. სოც.-ფედერალისტთა პარტიას პროგრამა და ძირითადი საფუძვლები აქვს. გააკრიტიკეთ ეს პროგრამა და დაამტკიცეთ, რომ იგი უვარგისია. ამისთანა კრიტიკაზე ჩვენც კრიტიკითვე გავცემთ პასუხს. მაგრამ თუ თქვენ ამას არ იზამთ, ჩვენ იძულებულნი გავხდებით ერთხელ და კიდევ მრავალჯერ გაგიმეოროთ, რომ თქვენ პუბლიცისტური ოინბაზები ხართ.

დაჰყო რა მთელი საქართველო ორ პარტიად, „ცისარტყელამ“ განაგრძო: „ეხლა „ისარი“ გვაკვირვებს ახალ ამბავს —დაიბადა ახალი მიმართულება, რომლის მიზანია არსებულ ორ პარტიას შორის ხიდის გადება. ჯერ ამ ახალი პარტიის თუ მიმართულების ფიზიონომია გამორკვეული არ არის“. აი, პუბლიცისტებო! თურმე ნუ იტყვით, მე მითქვამს, რომ დაიბადა ახალი მიმართულება, რომელმაც სოც.-დემოკრატებსა და სოც.-ფედერალისტების შორის ხიდი უნდა გასდოსო. სად ვთქვი ეს? როდის? სიზმარში ხომ არ მოგეჩვენათ? სწორედ გასაკვირველია, რომ წაკითხულიც არ გინდათ გაიგოთ? ჩვენ ვამბობდით, რომ ჩატეხილი ხიდი ინტელიგენციასა და ხალხს შორის მოელდებაო. ამით გვინდოდა გვეთქვა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება სასურველ მიმართულებას იღებს, რომ ისპობა უფსკრული, რომელიც ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას სრულიად აშორებდა საზოგადოდ ქართველ ხალხის ცხოვრებისაგან. საიდან მოელანდა „ცისარტყელას“ ის, რაც დასწერა,—სწორედ ვერ გამიგია, ეს ალბად მათ, „მეცნიერულად“ განსწავლულ კოლლეგიის საიდუმლოებას შეადგენს.

ფელეტონში მე უიმედობა უკიჟინე ჩვენ ინტელიგენციის ერთ ნაწილს, ვთქვი, რომ მათმა უიმედობამ სრულიად მოშხამა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებაო. ამაზე „ცისარტყელა“ სწერს: „ამ დახასიათებას ჩვენი ინტელიგენციისას (და, მაშასადამე, ფედერალისტებისასაც) ჩვენ ერთიანად ვეთანხმებით... მარა ერთი უნდა ვკითხოთ „ისარს“: რა საქმის გაკეთება შეუძლია იმ პარტიას, რომელსაც არც იმედი ჰქონებია, არც ნდობა საკუთარი ძალის, არც რწმენა, არც საქმის უნარი —ერთი სიტყვით, არაფერი არა (სიდაური ქართულია?), რაც მებრძოლის დახასიათებას შეადგენს. რატომ იზიდავთ ქართველ ხალხს ამ უიმედობის და უსაქმობის მორევში? თუ კი თქვენ თქვენი პარტიის ადაფერი გჯერათ, რატომ აჯერებთ სხვას წინააღმდეგში? ასეა თუ ისე, „ისარი“ გადაჭრით აღიარებს: ჩვენი ფედერალისტების, მიმართულება უვარგისია და ახალ მიმართულებას ვეძებთო.“

არა გრცხვენოდათ, როდესაც ასე ამახინჯებდით ჩვენს სიტყვებს? რას ეუბნებოდით თქვენს პუბლიცისტურ მოვალეობას, რომელსაც ყოველთვის მაღლა უნდა ეჭიროს სიმართლის დროშა?

ჩვენ ქართველ ინტელიგენციას ვუკიჟინებდით უიმედობას და არა სოც.-ფედერალისტებს. სოც.-ფედერალისტები უიმედობით არასოდეს არა ყოფილან ალჰყრვილნი.

ჩვენა გვწამს, გულწრფელად გვწამს, რომ ბოლოს და ბოლოს ქართველი ინტელიგენციაც მოიგლეჯს უიმედობის ბორკილს, ხალხშიაც ეროვნული თვით-შეგნება გაიღვიძებს, და ამით ქართულ ცხოვრება განვითარება ახალ მიმართულებას მიიღებს.

თქვენ კი...

მაგრამ თქვენ რაღა გელაპარაკოთ?..

არ. ჯ—შვილი.

პროვინციის ცხოვრება

საგარეჯო. ჩვენის გაზეთის უკანასკნელ ნომერში მოყვანილი იყო ამბ მარტა შეტრუზოვის მოკვლისა და ამავე ავაზაკების გორის აღათანკაშვილის მოქმედების შესახებ. მოგვყავს კიდევ შემდეგ ცნობებს. ავაზაკი გორისა უწინ ს. დ. მიერ შემდგარ წითელ რაზმში იყო რეაქციის გამეფების შემდეგ გორის პროფესიონალურ ქურდად ვიხადე გადაქცა, თუმცა განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყებამდე გორის ყვლაპი ცნობილი იყო თავის წვრილ ქურდობით, მაგრამ რეაქციამ ფართო ასპარეზი მისცა და მეტად გაურკვევლად მოქმედობდა. სცარცვავდა გზებზედ ვაჭრებს, მედუქნეებს და დარბაზებს, ერთის დარბაზისთვის, რომელიც წვრილმანის დაჭერით სცხოვრობდა, გაუხადა ფარა. ჯ. დედოფლების დარბევა ხომ იმისი და იმის ამხანაგების ხელობა იყო. უნდა დამტკიცებულიყო, რომ დედოფლების გატარების დროს ქალებისთვის ფესაცმელები და ფესტელები გაუხდიათ. ერთის გადაც ნიქოზისთვის გაუძრია ხალათი, ფეხსაცმელი, ჰასმელი, შარვალი, ქუდი, საბანი და სხვა. ზოგიერთ ვაჭრებისთვის წართმევიათ ასანთი, ბაზინრაზი, ნემსები, მუქებოებისთვის—ქვაბები და სხვ. გორის შიიდამდე ამხანაგი ჰყავდა. სამი კაცი მოუკლეს. ითხი შემდეგ ათამდე აგდებ და ას კაცმდე ბოლოს ვაჰლდაც სცარცვავდა ფალეთ ნაშეულ ხალხს. ცნობილია, რომ გორის რაზმს კიდითის დროს დაუშიბა ცხენები თეთრი და მიეყიდა თავის სოფლელებზე. პოლიციამ ამიონის ცხენები და ქურდებს კი გორაფერი დაუკლო, მაგრამ ცხენების მეპატრონეებმა კი დაიხსნეს. ერთის სოფლით, მთელი ხალხი დამონებული იყო ამათგან. მოლიც ყურადღებას არ აქცევდა. ბევრჯელ კიდევ მეზობლიანი შეიარებს სიაროს დარბაზები და ყანებები, მაგრამ არაფერი გამოსულა.

მარტყები სდევნიდნენ. სოც.-ფედ. ორგანიზაციამ ზედუღმნეგ კადასწყვიტ ამათი აღკვეთა. ყანებები ტყეებში იმალებოდნენ და დევნიმ ვერ გამოძებნა, ეხლა, როგორც ეტყობა ეჭვმა ნახვენება, ერთი სოციალისტ პირმა სოც.-ფედ. მიმართვით, ყურადღება მოჰყვა. აქვე მუთემ მოკლულის ამხანაგი მოსწრო რეშპოლველთან მოკლა ერთი ავაზაკი სოფლისთან, გორის ცხენი დაუშრა, თითონ კი ავაზაკი კი გაპარა. გორის ცხენი ბრძანება სოფელში, რომ გინდ არ დასწერება ავაზაკ სოფლის დამრბევს, დაჯარიმებულიყო იქნება ხუთის თუმნითაო. მოუვარდებაის ფული, ცხვარი, ღვინო როგორი თავის სოფელში, ასე სხვაგანაც. გორის ბრძანებითა და განკარგულებით ს. მარიამჯვარში მცხოვრებ გასდმაურიშვილს მოუვიდა ფული ძალით თავისევე სოფელში, შემდეგ სოფლისთვის რომ დებდენენ ამავე გორისათვის დასადებ ბაზაზე დასანთერებლად და იმათთან ერთად გამომგზავრებელ გაიარებებინებდა. დღეს ტებს გვდის მთვარეთა, მარიამჯვრის ხეებთან გზაზე დრო მოუმარჯვებათ და ნახანდით მოჰყვებოთ თავი ამ ავაზაკისთვის, თოფი, მაუზერი და მარჯვენი ფული წამოიღეს.

მთელი გარე-კახეთი შეძრწუნებულია ამ ავაზაკებისგან. საზოგადოდ ქურდობა ძალიან გავრცელდა. ყოველ შეღამება ქურდობას ადგილები. სოფ. მარტყოფში 3 იანვარს მოჰკლეს კარგად ცნობილი ქურდი რუსა გოგოშვილი. სოფ. საგარეჯოში შეუშინეს დიდი დაფეხმილები. ამას გასდა ამხანაგები: ლეთი ტერ-გაბრიელაშვილი, გიორგი დამჯახშვილი, მეიერ მათიაშვილი, სოლომონ ამბროლაძე. სოფელმა ყველა ამათ დაუსვა ხარჯები გასცა ორი ხელი ჩვება, ერთი ხელი დაუწვა, გისაც ერთი ხელი—იმას ცალი ხარი დაუწვა. ამათ სახლებიც დაიწვა. საგარეჯოს მეჯულებმა (მოგეტლება) ინახავენ ქურდებს. ეხლა ქურდობა, ავაზაკი და მათი დამხმარე რეაქციისგან წაქეზებული.

გარეჯელი სიმონა.

რუსეთი

✦ ყუმბარების ქარხანა. სევასტოპოლიდან „რუსკ. სლ.“ ატყობინებენ, რომ სევასტოპოლის მაზომრლოს, შტალკირის სადგომში, ყუმბარების ქარხანა აღმოუჩენიათ. შტალკირზე უწინაც მოიტანიათ ეჭვი, სახლიც გაუჩხრეკიათ, მაგრამ ვერაფერი აღმოუჩენიათ, რადგანაც საწყობი ძალიან ხერხიანად ყოფილა დაფარული. კარგა დიდი ლაბორატორია ყუმბარებისა იატაკ ქვეშ, მიწაში, ყოფილა გაკეთებული. პოლიციას მეორეთ გაუჩხრეკია შტალკირის ბინა, საწყობი უპოვია და 50 უკვე დამზადებული, ხოლო 200 ნახევრად დამზადებული ყუმბარა აღმოუჩენია. ფიქრობენ, რომ ეს ლაბორატორია დიდი-ხანია რაც არსებობს და აქედან რუსეთის სხვადასხვა

ადგილებში იგზავნებოდა ყუმბარები. შტუტგარტი თავის ცოლითა და ცოლის დით დაუტუსაღებიათ.

უცხოეთი

—:—

საყოველთაო საარჩევნო უფლებისთვის ბრძოლა გერმანიაში საყოველთაო საარჩევნო უფლებისთვის ბრძოლა გერმანიის პარლამენტიდან ქუჩებში გადავიდა. ბიულოვმა უარი განაცხადა მიმდინარე სესიაში ამ კანონ-პროექტის შეტანაზე ამ უარმა კი მუშათა დემონსტრაციები გამოიწვია. გერმანიის ლიგ ლიზმში ჩამოხრჩობილი სოციალ დემოკრატია აქტიურ წინააღმდეგობის გზას დაადგა. როგორც „რუსკოე. სლ." ატყობინებენ დეპეშით ბერლინიდან, მთელი ქალაქი ბრძოლის ასპარეზად გადაქცეულა. პოლიციას გამოუცხადებია, დემონსტრაციის გამართვის ნებას არ მოგცემთო, მაგრამ ხალხს მაინც ამისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში სოციალ დემოკრატებს მაინც მოუწყვიათ დემონსტრაციები, რომლებშიაც, თურმე, 30 ათას კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას. ორგანიზატორთა გეგმით, დემონსტრანტები სადამოსთვის სასახლესთან უნდა შეკრებილიყვნენ, იქ მიტინგი გაემართათ და მერე კანცლერის ბიულოვის სახლისაკენ წასულიყვნენ. როდესაც ხალხი წითელის დროშებით სასახლის მოედანზე მისულა, ჩასაფრებული პოლიციელები გამოცვიფნულან, მაგრამ პირველი იერიში ხალხს მედგრად მოუგერიებია. პოლიციმეისტერს ბოროტის ბრძანება გაუცია, ხმლები იხმარეთო. მაშინ ხალხიდან სროლით უპასუხნიათ, და გამართულა ბრძოლა. შედეგი ამ ბრძოლისა ყოფილა ის, რომ მძიმედ დაუჭრიათ 38 კაცი ხალხიდან და რამდენიმე პოლიციელი. ასეთივე დემონსტრაციები გაუმართავთ გერმანიის სხვა დიდ ქალაქებშიაც, საიდანაც ჯერ დაწვრილებითი ცნობები არ არის მიღებული.

რედაქტორ-გამომცემელი

ე. ბგალიშვილი.

№ 101 პურის არაყი № 101

ძმ. სესიევებისა და ამხ.

ვაგზლის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 197.

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველთ და მსმელთა, რომ თუმცა ეხლა არსებული არაყი „ქელეხნო-ვინოგრადნოე", „სტოლოვოე № 50" და „ფლოტსკოე" ამ ცოტა ხანში თავის საკუთარ თვისებით და უპირატესობით (სხვა ფირმების არაყებთან) შესძინეს საწყობს დიდ ძალი მუშტარი, მაინც გამოუშვა ფირმამ დღესასწაულებისთვის ახალი არაყი სრულიად გაწმენდილი: „Столовое Вино № 101". ეს არაყი გაწმენდილია ახლად დადგმულ აპარატებით, ახლად გამოგონილ სისტემისა პარიზში ეს არაყი არის სასმელად: რბილი, სასიამოვნო გემოსი და მშვენიერი სუნისა. ამიტომ სავაჭრო სახლი ურჩევს ბ-ნთ მყიდველთ და ბ-ნთ მსმელთ, რომ შეიძინონ ეს არაყი. (7—520—6)

№ 101 პურის არაყი № 101

ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი"

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით**: არის „სპერმატინი". იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არამედ ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოველების **ესენცია**, იგი **მალის მომმატებელია**. „სპერმატინი" მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის" ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის გამანადგურებელ დრო-ჟამთან. **«სპერმატინი»** შედეგია **ბროუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, მალის ხისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუმდგრებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღალულობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს**, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მიჯარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, პლევს ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას ბნედას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

ავადმყოფთა წერილები

უფალო ი. გ. ახობაძე! თხუთმეტი წელიწადია, რაც მე კუჭის ტკივილი (კატარი) მაწუხებდა რამაც ძლიერი ნეირვების სისუსტე, სულის ხუთვა, გულის კანკალი და სრული უმადობა გამოიწვია ჩემში. მტკიოდა აგრეთვე ხერხემალი, მარცხენა გვერდი საშინლად გამისივდა და ორივე ბეჭში ტეხვა მქონდა ავარდნილი. მივმართე ექიმებს, ვიხმარე სხვა და სხვა ზომები, მაგრამ შესამჩნევი უკეთობა მაინც ვერ ვიგრძენ. ბოლოს გაზეთ «ისრის» წყალობით გავიგე, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში მომზადებულ «სპერმატინს» ძლიერ კეთილი შედეგი მოაქვს, თითქმის ყოველ ავადმყოფობის წინააღმდეგ, რომლის საწყობი თქვენთან ყოფილა მთელი კავკასიისათვის, და დავეშურე მიმეღო ეს უკანასკნელი საშუალებაც. ოთხი ფლაკონის მიღების შემდეგ თანდათან ვგრძნობდი უკეთობას და 7 ფლაკონის მიღების შემდეგ კი სრულიად განვიკურნე. რისთვისაც ღრმე მადლობას ვუძღვნი, როგორც ლაბორატორიის გამგეს ბ-ნ ივანოვს, ისე თქვენ.

დავშთები უღრმესის პატივისცემით **ვ. ფ. მაჩვილაძე.**

ტფილისი, სინოდალური ქ. სახლი № 4. 24 დეკ.

ბ ნ ე. ახობაძე! გულით და სულით მადლობას გიძღვნით იმისთვის, რომ მე მყავს ერთად-ერთი ძუძუს-მწოვარი ბავშვი, რომელიც მყავდა რვა თვეს ავად. ბევრი წამალი ვიხმარე, მაგრამ არაფერი საშველი არ მისცა წამალმა. ბავშვი უკანასკნელ მდგომარეობაში ჩავარდა. იმდენად დასუსტდა, რომ ჰამაც მიატოვა. შემდეგ გავიგე გაზეთ „ჩვენი გზის" წყალობით, რომ თქვენ გაქვთ კანტორა და საწყობი «სპერმატინისა», რომელიც მოქმედებს თითქმის ყოველ ავადმყოფობის წინააღმდეგ. მე გამოვიწერე ერთი ფლაკონი და რამ მიიღო ბავშვმა, გამოცხოცხლდა; ერთის სიტყვით, ბავშვი სრულებით მორჩა. ამიტომ კიდევ დიდ მადლობას გწირავთ. ჩვენი ადრესი სოფელ პაკანი, ქუთაის. გუბ. და მაზრა. **ხევერიან პოცხვერია.** 20 ოქტომბერი.

„სპერმატინი" განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით «სპირმინი» ნ. ნ. ივანოვისა და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინი"-მა ნ. ივანოვისამ, დღეს-კი «სპერმატინმა» ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აურებელი სამადლობელო წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ან ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

ბ-ნი კალენიჩენკოს, ყოფილი წარმომადგენელი „სპერმატინის" გაყიდვაში, ეხლა ამ თანამდებობაში არ იმყოფება, ჩემს ლაბორატორიასთან „სპერმატინის" მომზადების საქმეში მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. მ ურველს, ი. ნ. ივანოვის „სპერმატინის" ვთხოვთ მიმართონ ჩვენ წარმომადგენელს მთელ კავკასიისათვის ი. გ. ახობაძეს. ადრესი: ტფილისი, ვერა მოსკოვის ქუჩა სახ. № 4. ან „სპერმატინის" კანტორის განყოფილება: ბაქოში, ი. გ. ახობაძეს სტარო-პოლიციის ქუჩ. სახ. ლაზარევისა № 14. და ქუთაისში აფთიაქის საწყობში კოკოჩევთან მოიკითხეთ «სპერმატინი» ახობაძისა.

წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე. ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა № 4. **უმისოდ საქონელი არ იგზავნება** (0—5.—19)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს
იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ორბელიანის ქუჩა № 14

სასტუმრო „Семейные номера"

შუა ქალაქში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, ელისაბედის ქუჩაზე, სახლი მილოვისა, № 1. იძლევა ქირით ოთახები თვიურად და დღიურად. თვიურად 15 მანეთიდან 50 მანეთამდე და დღიურად 60 კაპ 2 მანეთამდე ოთახები მშრალი, თბილი და ნათელია. შეიძლება ოთახების გაქირავება ჭამა-სმითაც. სრული მშვიდობა და მყუდროება.

ყველას ვთხოვ ჩემი მანეთიანი ოთახი შეადაროს სხვის ორ მანეთიან ოთახს (20—509—8)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
ე. მ. ჩიქოვანი: $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ფ. ი. ბაბანახოვი 10—11 ს. სახებით, ქალებისა და ბავშვების.
მ. გ. ბეჟანიშვილი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. მუჯიროვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. გელოვანი: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანი და საბავშვო.
ა. ი. ჩუბინიძე: $1^{1}/_{2}$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
გ. ი. ტურგენოვი: 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

ს ა ღ ა მ ო თ ი:
ა. ი. გრიგორიანი: 6—7 ქირურგ. ვენერ. შარდ. და კანისა.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (544—წლ—4)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 8 იანვარს 1908 წლის ნაშუადღევის პირველ საათისთვის დანიშნულია ხელმეორე ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა მნაცაკანოვის ხიდი.

პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილებაში $9^{1}/_{2}$-დან $2^{1}/_{2}$ საათამდე ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა. (3—5.—3)

სადეპეშო ადრესი: **ტელეფონი № 69**

„Граммокомпанія",—Тифлисъ.

ფაბრიკის ნიშანი:

TRADE MARK "GRAMMOPHON"

განყოფილებანი:

ბერლინი. ჰანოვერი. ლონდონი. პარიჟი ვენა. პეტერბურგი. მილანი. ნეაპოლი. ბრიუსელი. ამსტერდამი. მოსკოვი ხარკოვი თეირანი რიგა კეპ-ტოუნი. სტამბოლი. ბარსელონა ქაირი ლისაბონი. კოპენჰაგენი. სტოკჰოლმი. კალკუტა. სიდნეი.

სააქციონერო საზოგადოება
გრამმოფონი
და ხმების გადამღები მაშინა.

ტფილისის განყოფილება: გოლოვინის პროსპ. № 9.

გაფრთხილება

გაზეთებში დაიბეჭდა «მელოდიფონის» ამხანაგობის განცხადება. ამან გვაიძულა ჩვენ მის მიერ შეცდომაში შეყვანილ საზოგადოებისა და გრამოფონის მოყვარულთა და მეგობართა ყურადღება მივაქციოთ ქვემორე აღნიშნულ განმარტებას.

მელოდიფონის ამხ.-ის ფირფიტები მხოლოდ ასლია ჩვენის ფირფიტებისა. მელოდიფონის ამხანაგობა სამღერად არ იწვევს ცნობილ არტისტებს: მან გადმოიღო ხმები ჩვენი ფირფიტებიდან, უბრალოდ მოლაპარაკე მაშინებზე. ჩვენ მომღერალს მისი ხმის ჩასაწერად ათასობით ვაძლევთ, მელოდიფონის ამხანაგობა კი ხარჯავს მხოლოდ რამდენიმე აბაზს: ყიდულობს ჩვენს მზა-მზარეულ ფირფიტებს და იქიდან იღებს ასლს. ასეთ უკანონო სიყალბის გამო ეს ამხანაგობა ფირფიტებს შედარებით ჩვენზე იაფად ჰყიდის. ცხადია, რომ ასეთ საშუალებით გადაღებული ხმა არ შეიძლება გამოვიდეს მკაფიოდ, ბუნებრივად და სინამდვილით. მაგალითად: სურათიდან რომ ფოტოგრაფია გადავიღოთ, იგი არას დროს არ ემსგავსება პირდაპირ ორიგინალიდან გადაღებულს, ასევე ხდება ხმის გადაღების დროს ფირფიტის საშუალებით. ამ რიგად, მელოდიფონის საზოგადოება სარგებლობს ხალხის უცოდინარობით და მის ექსპლოატაციას ეწევა, რაიც, სხვა რომ არა იყოს რა, საკადრისი არ არის.

ჩვენ ვამბობთ, რომ მელოდიფონის ამხანაგობას ფირფიტები ასლია ჩვენის ფირფიტებისა. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ მთელი ქვეყნის საუკეთესო მომღერლებმა, გარდა ზოგიერთებისა, აღიარეს, რომ მხოლოდ ჩვენ მიერ გადაღებული ვოკალური ხმები გამოდის კარგად და ჩვენი საზოგადოების დირექციას პირობა დაუდეს, რომ ისინი არ იმღერებენ სხვა ფირმებისთვის, რომელნიც მოისურვებენ მათი სიმღერის ჩაწერას. ჩვენის ფირფიტებიდან გადაწერა და გადაღება მათის გასასყიდად დაუკითხავად ჩვენ და და მომღერალთა სასტიკად აკრძალულია. ვინც ამას ჩაიდენს, საზოგადოება იქნება იგი თუ ცალკე პიროვნება, მიცემულ იქნება სისხლის სამართალში როგორც დაემართა მელოდიფონის ამხანაგობას, თანახმად კანონისა შესახებ კონტრაფაქციისა, რაიც აღნიშნულია კანონთა კრებულის I ნაწილის, ტ. X, მუხ. 45. დამატ. მე 420 მუხ (შენიშ. 2) გვაქვს გარემოება, რომ **ენრიკო კარუზო, შალიაპინი** და სხვებიც თავიანთ პირობას არას დროს არ გადაუხვევენ.

ვერ ფერს უშველის ხმის ასეთ ნაირ გადაღებას ვერც საუკეთესო მასალა და ვერც ახალი საშუალება. მეორე ფირფიტებიდან გადმოღებული ხმა ბუნებრივი არ გამოდის და ასეთივე არაბუნებრივი იქნება შემდეგშიაც.

რაც შეეხება გრამოფონებს—**მხოლოდ ჩვენი ნაწარმოები**,—რომელსაც ნიშნად აქვს **«მწერავი ამური»**, რომლის შესახებაც სწერს მელოდიფონის ამხანაგობა, რომ დაკლებულის ფასით ვყიდითო, ეს გრამოფონები დამველებულნი და შეკეთებულნი არიან, რომელნიც მელოდიფონის ამხ.—ამ შეისყიდა. თუ ისინი მართლა ახლები არიან, მელოდიფონის ამხ.—ს ეს აპარატები ლეგალურ საშუალებით არა აქვს ნაყიდი. ყოველ ვაჭარს, ვინც კი ჩვენი გრამოფონებით ვაჭრობს, პირობა აქვს ჩვენთან დადებული, რომ იგი მთელ რუსეთში, **კავკასიაში და იმიერ კასპიის მხარეში** ერთნაირ ფასებში გაჰყიდის საქონელს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჯარიმა მოელის. არც ერთ ვაჭარს, თუ ის ჩვენი წარმომადგენელი არ არის, არსგზით არ შეუძლიან ჩვენი საქონლის გაყიდვა, საზღვარ გარეთიდან კი ჩვენი საქონელი მიდის მხოლოდ ჩვენს განყოფილებებს.

ვაფრთხილებთ გამოუცდელს პატივცემულ საზოგადოებას, ერიდნენ აპარატების ყიდვას დაკლებულის ფასებით, ვინაიდან ასეთ აპარატებისა და ფირფიტების ყიდვას შეიძლება ის მოჰყვეს, რომ ნაყიდი საქონელი დროებით დავატუსაღოთ, სანამ საქმე გამოირკვეოდეს.

ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ **ნამდვილ გრამოფონებად ნამდვილ ფირფიტებად და ნამდვილ მოწყობილებებად** მათთვის ითვლება მხოლოდ ის საქონელი, რომელიც ერთნაირ ფასებში იყიდება მთელ რუსეთში და რომელიც აღნიშნულ არს, ყველასთვის საკმაოდ ცნობილ, **ჩვენი ფაბრიკის ნიშნით.** ეს ნიშანი გამოცხადებულია მთელი ქვეყნის ყველა სახელმწიფოში და დამტკიცებულია მანუფაქტურისა და ვაჭრობის დეპარტამენტის მიერ. დანარჩენი ნიშნები მიბაძვაა. მათს პასუხის მგებლობას ჩვენ ვერ ვკისრებთ. თუ ჩვენი ნაწარმოები ჩვეულებრივზე დაბალსა და დაკლებულ ფასებში იყიდება, ეს საქონელი, უეჭველია, შეძენილია უპატიოსნო და არალეგალურის საშუალებით, რაიც ყოველ შემთხვევაში დაუყონებლივ დევნილ იქნება სასამართლოს საშუალებით.

დავშთებით პატივისცემით

სააქციონერო საზოგადოება

გრამმოფონი

ტფილისის განყოფილება. (6.—5)

სტამბ. „შრომა" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.